ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 61

21 დეკემბერი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ. №01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანის" (ს/ნ. 406126133) მიმართ მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ. №01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ. №01.19.20.030.035) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39[1] მუხლისა და ,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი I (ს/კ. №01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანის" (ს/ნ. 406126133) მიმართ მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ. №01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ. №01.19.20.030.035) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 დეკემბრის №21.1739.1939 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანის" (ს/ნ. 406126133) მიმართ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ ს/კ.01.19.20.030.009)არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ. №01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ. №01.19.20.030.035) შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0.8-ით;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 8.2 - ით;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მიჯნის ზონის დაუცველად, ღიობების მოწყობის, სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების კვლევის გარეშე;

ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარდგენის გარეშე;

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდეს ქალაქ თბილისში ს/კ. №01.19.20.030.009 და ს/კ. №01.19.20.030.035 მდებარე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაში წარმოშობილ ახალ გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე ამასთანავე, დაინტერესებულმა პირმა შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანიმ“ (ს/ნ. 406126133) მითითებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება უზრუნველყოს სანებართვო პროცესის დაწყებამდე;

3. დაინტერესებულმა პირმა შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანიმ“ (ს/ნ. 406126133) მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე წარმოადგინოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, რომლითაც დადასტურდება, რომ არ არიან წინააღმდეგები მშენებლობა განახორციელოს დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების გათვალისწინებით;

4. დაინტერესებული პირის შპს ,,ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ. 406126133) მიერ მშენებლობის ნებართვის აღების ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

5. ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე